ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 01-03-220

ქ. თბილისი

03 დეკემბერი 2018 წელი

**შემსყიდველი:** სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის ბერიკა შუკაკიძის სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. №4;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22.

**მიმწოდებელი:** შპს „Urban Motors", წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი ჯაფარიძის სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-8კმ;
საიდენტიფიკაციო კოდი: 401971185;
საბანკო რეკვიზიტები: სს „ბანკი ქართუ", ბანკის კოდი: CRTUGE22, ა/ა: GE73CR0000000016463602.

ერთის მხრივ - შემსყიდველი და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, ჩატარებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადების N SPA180008595) შედეგების გათვალისწინებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება;
1.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი**

„მიმწოდებელმა" ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უნდა უზრუნველყოს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ბალანსზე რიცხული ჰიუნდაის მარკის ავტომობილების შეკეთების და ტექნიკური მომსახურების (სერვისი სათადარიგო ნაწილების გათვალისწინებით) გაწევა დანართი N-1-ის შესაბამისად (CPV 5011200-მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება).

**მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;
3.2. ხელშეკრულების საერთო ფასია 17831.77 (ჩვიდმეტიათას რვაას ოცდათერთმეტი ლარი და 77 თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით;
3.3 გასაწევი ტექნიკური მომსახურების დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ N 1-ში;
3.4 **დაფინანსების წყარო:** სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საბიუჯეტო ასიგნებები.

**მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი და მომსახურების გაწევის პირობები**

4.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ მომსახურების გაწევა განხორციელდება კვალიფიციურად, ხარისხიანად შეკეთება (სერვისი სათადარიგო ნაწილების, საცხებ-საპოხი მასალების გათვალისწინებით);

4.2 ავტომანქანების დაზიანებული სათადარიგო ნაწილი უნდა შეიცვალოს ახალი სათადარიგო ნაწილით. შეკეთებისა და მომსახურებისთვის გამოყენებული სათადარიგო ნაწილები უნდა იყოს ახალი, ქარხნული, ხარისხიანი და არ ავლენდეს დეფექტებს. მიმწოდებელი პასუხისმგებელია წუნდებული საქონლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოცვლაზე და შესაბამისი მომსახურების გაწევის განხორციელებაზე, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

4.3 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას იღებს უხარისხოდ გაწეული მომსახურების ნაკლის აღმოფხვრაზე;

4.4 სამუხრუჭე ხუნდები უნდა იყოს მაღალი ხარისხის, არ უნდა გამოსცემდეს ხმებს (ე.ი. არ უნდა წრიპინებდეს) და არ უნდა ხურდებოდეს;

4.5 ზეთი უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი ავტომანქანისთვის გათვალისწინებულ სტანდარტს გარბენის მიხედვით;

4.6 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემთხვევაში ჩაატაროს ავტომანქანის დათვალიერება, რის შემდგომაც, მხარეები ადგენენ დეფექტურ აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გასაწევი მომსახურების დეტალური აღწერა, მათი ღირებულება, აგრეთვე მომსახურების დაწყებისა და დასრულების ვადები;

4.7 მიმწოდებელი ვალდებულია ექვს თვეში ერთხელ უფასოდ, საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის კუთვნილ ავტომანქანებს ჩაუტაროს სრული ელექტროკომპიუტერული და სავალი ნაწილების დიაგნოსტირება. ყოველი დათვალიერების შემდეგ მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს დასკვნას ავტომანქანების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ;

4.8 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, პრეისკურანტში ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს;

4.9 მიმწოდებელი აცხადებს, რომ გაწეული მომსახურება იქნება უნაკლო;

4.10 შემოთავაზებული სათადარიგო ნაწილი უნდა იყოს ორიგინალი ან მსგავსი;

4.11 მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს ავტოტექმომსახურებისთვის საჭირო შესაბამისი მარაგები (იგულისხმება ზეთი, ფილტრები, ნათურები, სავალი ნაწილები, სამუხრუჭე ხუნდები). თუ ავტომანქანის შეკეთების მომსახურებისთვის საჭიროა ნაწილის ჩამოტანა საზღვარგარეთიდან, შეკეთების მაქსიმალური ვადა შეადგენს დეფექტური აქტის შედგენიდან არაუმეტეს 20 კალენდარულ დღეს, შემსყიდველთან შეთანხმებით;

4.12 მიმწოდებელი ვალდებულია საქართველოს მთელს ტერიტორიაზე უზრუნველყოს დაზიანებული, მწყობრიდან გამოსული ავტომანქანის ავტოტექმომსახურების საკუთარ ცენტრამდე გადაყვანა ევაკუატორით და შესაბამისი მომსახურების გაწევა;

4.13 მომსახურების ვადა თითოეულ შემთხვევაზე არ უნდა აღემატებოდეს:

1) სავალი ნაწილებისათვის - არაუმეტეს 2 დღეს;

2) ელექტროობისათვის - არაუმეტეს 2 დღეს;

3) სათუნუქე-სამღებრო სამუშაოებისათვის - არაუმეტეს 5 დღეს;

4) იმ შემთხვევაში თუ საჭირო იქნება ძრავის კაპიტალური რემონტის ჩატარება ან დეფიციტური ნაწილის მიწოდება, შესაძლებელია მომსახურების ვადა განისაზღვროს შემსყიდველთან შეთანხმებით;

4.14 მიმწოდებელმა შეცვლილ და/ან აღდგენილ დეტალზე და მომსახურებაზე უნდა გასცეს გარანტია:

1) სავალ ნაწილებზე არანაკლებ 6 თვე;

2) ძრავზე, გადაცემათა კოლოფზე და ხიდებზე - არანაკლებ 1 წელი ან 30 000 კმ, რომელიც უფრო ადრე დადგება;

3) ელექტრულ მოწყობილობებზე (გარდა ელ. მცველებისა და ნათურებისა) - არანაკლებ 1 წელი;

4) სათუნუქე და სამღებრო სამუშაოებზე - არანაკლებ 1 წელი;

5) გადაბმულობის კომპლექტზე, სამუხრუჭე ხუნდებზე, საყრდენ დისკზე, მორგვის საკისარზე და ყუმბარაზე - არანაკლებ 5000 კმ;

6) ძრავის ზეთზე - არანაკლებ 7000 კმ.

**მუხლი 5. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი**

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

5.2 მომსახურების გაწევის ადგილები – ქ. თბილისი, სოფ. დიღომი; ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამირი N 12;

**მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია;

6.4 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური სამსახურის ლოჯისტიკის მენეჯერს რატი ღვამბერიას. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

**მუხლი 7. ანგარიშსწორება**

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

7.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

**მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

**8.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:**

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" გაწეული მომსახურების ღირებულება;

8.1.2 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

**8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:**

8.2.1 შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

**8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:**

8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2 კვალიფიციურად გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული მომსახურება;

8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.3.5 საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლი;

8.3.6 წარუდგინოს შემსყიდველს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.

**8.4 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:**

8.4.1 მოსთხოვოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

## მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 % ოდენობით;

9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) % ოდენობით;

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება;

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ინსპექტირების ჩატარებისათვის ტექნიკური სამუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი;

10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

10.4 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის ლოჯისტიკი გიორგი ფერაძე, რომელიც წერს დასკვნას ხელშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობის შესახებ.

## მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი;

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

**მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა**

12.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;

12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;

12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**მუხლი 13. ფორსმაჟორი.**

13.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

**მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და მალაშია 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

**მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

15.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2 თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 16. საგარანტიო პირობები**

16.1 მიმწოდებლის მიერ აღდგენილი და შეცვლილი დეტალების საგარანტიო პერიოდი მოცემულია 4.14 პუნქტში;

16.2 საგარანტიო ვადაში მიმწოდებელი მოვალეა უფასოდ განახორციელოს დაზიანებული დეტალის (დეტალების) შეკეთება, საჭიროების შემთხვევაში შეცვლა;
16.3 მიმწოდებელი თავისუფლდება ზემოხსენებული მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დადგინდა, რომ დაზიანება შემსყიდველის პერსონალის ბრალითაა გამოწვეული.

**მუხლი 17. სხვა პირობები**

17.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
17.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
17.3 მესამე პირთან (პირებთან) ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
17.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;
17.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას;
17.6 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
17.7 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
17.8 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს;
17.9 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 17. მხარეთა ხელმოწერები**

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი | შპს „Urban Motors" |
| ბერიკა შუკაკიძე | ირაკლი ჯავარიძე |
| დირექტორი | დირექტორი |

დანართი N 1

**HYUNDAI TUCSON, გამოშვების წელი 2010, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო N KMHJU81BDBU098276**

| N | სათადარიგო ნაწილების დასახელება | განზ. | რაოდენობა | ნაწილის ერთეულის ფასი | ნაწილის საერთო ფასი | მომსახურების ერთეულის ფასი | მომსახურების საერთო ფასი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძრავის ზეთი სინთეტიკა | ლ | 5.5 | 17.7 | 97.35 | | 0 | 97.35 |
| 2 | ძრავის ზეთის ფილტრი | ც | 1 | 18.88 | 18.88 | 14.16 | 14.16 | 33.04 |
| 3 | ჰაერის ფილტრი | ც | 1 | 36.58 | 36.58 | | 0 | 36.58 |
| 4 | სალონის ფილტრი | ც | 1 | 64.9 | 64.9 | 38.94 | 38.94 | 103.84 |
| 5 | საჭის წევა | ც | 2 | 82.6 | 165.2 | 14.16 | 28.32 | 193.52 |
| 6 | წინა სამუხრუჭე დისკო | ც | 2 | 138.06 | 276.12 | 18.88 | 37.76 | 313.88 |
| 7 | წინა სამუხრუჭე ხუნდები | კომპ | 1 | 194.7 | 194.7 | 14.16 | 14.16 | 208.86 |
| 8 | წინა საყრდენები | ც | 2 | 84.96 | 169.92 | 14.16 | 28.32 | 198.24 |
| 9 | უკანა სტაბილიზატორის ძელის | ც | 2 | 10.62 | 21.24 | 8.26 | 16.52 | 37.76 |
| 10 | უკანა საყრდენები | ც | 2 | 77.88 | 155.76 | 14.16 | 28.32 | 184.08 |
| 11 | ამორტიზატორი უკანა | ც | 2 | 146.32 | 292.64 | 18.88 | 37.76 | 330.4 |
| 12 | უკანა ამორტიზატორის საყრდენი ბალიში | ც | 2 | 73.16 | 146.32 | 18.88 | 37.76 | 184.08 |
| 13 | უკანა ზამბარა | ც | 2 | 116.82 | 233.64 | | 0 | 233.64 |
| 14 | ქვედა ღერძების ბურთულის მილისა წინა | ც | 2 | 43.66 | 87.32 | 37.76 | 75.52 | 162.84 |
| 15 | რაზვალი | კომპ | 1 | | 0 | 37.76 | 37.76 | 37.76 |
| | | | | | | | საერთო ფასი | 2355.87 |

**HYUNDAI SONATA, გამოშვების წელი 2011, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო N KMHEB41BBCA381401**

| N | სათადარიგო ნაწილების დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ნაწილის ერთეულის ფასი | ნაწილის საერთო ფასი | მომსახურების ერთეულის ფასი | მომსახურების საერთო ფასი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ამორტიზატორი წინა | ც | 2 | 193.52 | 387.04 | 37.76 | 0 | 387.04 |
| 2 | ამორტიზატორი უკანა | ც | 2 | 145.14 | 290.28 | 27.14 | 54.28 | 344.56 |
| 3 | წინა ამორტიზატორის საბჯენი ბალიში | ც | 2 | 73.16 | 146.32 | | 0 | 146.32 |
| 4 | უკანა ამორტიზატორის საბჯენი ბალიში | ც | 2 | 46.02 | 92.04 | | 0 | 92.04 |
| 5 | ძრავის ზეთი | ლ | 5 | 22.42 | 112.1 | 14.16 | 70.8 | 182.9 |
| 6 | ზეთის ფილტრი | ც | 1 | 18.88 | 18.88 | | 0 | 18.88 |
| 7 | ჰაერის ფილტრი | ც | 1 | 38.94 | 38.94 | | 0 | 38.94 |
| 8 | ღერძების ბურთულის მილისა ქვედა | ც | 2 | 46.02 | 92.04 | 37.76 | 75.52 | 167.56 |
| 9 | განშლა | კომპ | 1 | | 0 | 37.76 | 37.76 | 37.76 |
| 10 | საქარე მინის საწმენდები | კომპ | 1 | 73.16 | 73.16 | 8.26 | 8.26 | 81.42 |
| 11 | წინა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმიტერი) | ც | 2 | 46.02 | 92.04 | | 0 | 92.04 |
| 12 | უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმიტერი) | ც | 2 | 46.02 | 92.04 | | 0 | 92.04 |
| 13 | წინა სამუხრუჭე ხუნდები | ც | 2 | 194.7 | 389.4 | 14.16 | 28.32 | 417.72 |
| 14 | უკანა სამუხრუჭე ხუნდები | ც | 2 | 134.52 | 269.04 | 14.16 | 28.32 | 297.36 |
| 15 | წინა სამუხრუჭე დისკო | ც | 2 | 164.02 | 328.04 | 23.6 | 47.2 | 375.24 |
| 16 | საბურავების მოხსნა დაყენება და ბალანსირება | ც | 4 | | 0 | 14.16 | 56.64 | 56.64 |
| | | | | | | | საერთო ფასი | 2828.46 |

**HYUNDAI IX-35, გამოშვების წელი 2011, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო N KMHJT81VDBU346079**

| N | სათადარიგო ნაწილების დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ნაწილის ერთეულის ფასი | ნაწილის საერთო ფასი | მომსახურების ერთეულის ფასი | მომსახურების საერთო ფასი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძრავის ზეთი | ლ | 8 | 22.42 | 179.36 | | 0 | 179.36 |
| 2 | სალონის ფილტრი | ც | 1 | 30.74 | 40 | 37.76 | 37.76 | 77.76 |
| 3 | ზეთის ფილტრი | ც | 1 | 29.5 | 29.5 | | 0 | 29.5 |
| 4 | ჰაერის ფილტრი | ც | 1 | 34.22 | 34.22 | | 0 | 34.22 |
| 5 | კონდიციონერის სალონის ფილტრი | ც | 1 | 48.38 | 48.38 | 8.26 | 8.26 | 56.64 |
| 6 | წინა სამუხრუჭე ხუნდები | კომპ | 1 | 145.14 | 145.14 | 14.16 | 14.16 | 159.3 |
| 7 | უკანა სამუხრუჭე ხუნდები | კომპ | 1 | 135.7 | 135.7 | 14.16 | 14.16 | 149.86 |
| 8 | წინა სამუხრუჭე დისკო | კომპ | 2 | 193.52 | 387.04 | 22.42 | 44.84 | 431.88 |
| 9 | ძრავის ზეთის და ზეთის ფილტრის შეცვლა | კომპ | 1 | | 0 | 14.16 | 14.16 | 14.16 |
| | | | | | | | საერთო ფასი | 1132.68 |

**HYUNDAI IX-35, გამოშვების წელი 2011, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო N KMHJU81VDCU408294**

| N | სათადარიგო ნაწილების დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ნაწილის ერთეულის ფასი | ნაწილის საერთო ფასი | მომსახურების ერთეულის ფასი | მომსახურების საერთო ფასი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძრავის ზეთი | ლ | 8 | 22.42 | 179.36 | | 0 | 179.36 |
| 2 | ზეთის ფილტრი | ც | 1 | 29.5 | 29.5 | 14.16 | 14.16 | 43.66 |
| 3 | ჰაერის ფილტრი | ც | 1 | 34.22 | 34.22 | | 0 | 34.22 |
| 4 | სალონის ფილტრი | ც | 1 | 48.38 | 48.38 | 47.2 | 47.2 | 95.58 |
| 5 | წინა სამუხრუჭე ხუნდები | კომპ | 1 | 145.14 | 145.14 | 14.16 | 14.16 | 159.3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | წინა სამუხრუჭე დისკი | ც | 2 | 193.52 | 387.04 | 23.6 | 47.2 | 434.24 |
| 7 | საჭის ღერძის დაბოლოება ნაკრებში | ც | 2 | 77.88 | 155.76 | 14.16 | 28.32 | 184.08 |
| 8 | საჭის ღერძის წევა უკიდური ტიპი | ც | 2 | 77.88 | 155.76 | 14.16 | 28.32 | 184.08 |
| 9 | წინა დაკიდების ბერკეტი პატარა | ც | 1 | 48.38 | 48.38 | 33.04 | 33.04 | 81.42 |
| 10 | წინა დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი | ც | 2 | 43.66 | 87.32 | 27.14 | 54.28 | 141.6 |
| 11 | წინა დაკიდების ბერკეტის მილისა პატარა | ც | 2 | 43.66 | 87.32 | 27.14 | 54.28 | 141.6 |
| 12 | ბურთულოვანი სახსარი შარნირი | ც | 2 | 87.32 | 174.64 | 27.14 | 54.28 | 228.92 |
| 13 | მშრალი ამორტიზატორის რეზინა წინა | ც | 2 | 9.44 | 18.88 | 18.88 | 37.76 | 56.64 |
| 14 | მშრალი ამორტიზატორის რეზინა უკანა | ც | 2 | 9.44 | 18.88 | 8.26 | 16.52 | 35.4 |
| 15 | წინა ღერო სტოიკები | ც | 2 | 68.44 | 136.88 | 14.16 | 28.32 | 165.2 |
| 16 | უკანა ღერო სტოიკები | ც | 2 | 63.72 | 127.44 | 14.16 | 28.32 | 155.76 |
| | | | | | | | საერთო ფასი | 2321.06 |

HYUNDAI SANTA FE, გამოშვების წელი 2011, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო N KMHSH81XDCU834158

| N | სათადარიგო ნაწილების დასახელება | განზომ ილება | რაოდენობა | ნაწილის ერთეულის ფასი | ნაწილის საერთო ფასი | მომსახურების ერთეულის ფასი | მომსახურების საერთო ფასი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფარები მარჯვენა მხარე | ც | 1 | 542.8 | 45 | 47.2 | 47.2 | 92.2 |
| 2 | ფარები შიგა მხარე | ც | 1 | 318.6 | 45 | 47.2 | 47.2 | 92.2 |
| 3 | ფარების გაფართოებული ღერძი | ც | 1 | 318.6 | 318.6 | | 0 | 318.6 |
| 4 | გარეთა ფარების სამაგრი | ც | 1 | 34.22 | 34.22 | | 0 | 34.22 |
| 5 | ჰაერის ფილტრი | ც | 1 | 34.22 | 34.22 | | 0 | 34.22 |
| 6 | ზეთის ფილტრი | ც | 1 | 31.86 | 31.86 | 14.16 | 14.16 | 46.02 |
| 7 | ძრავის ზეთი | ლ | 8 | 22.42 | 179.36 | | 0 | 179.36 |
| 8 | სანთლების შეცვლა და ზედამხედველობა | ც | 4 | | 0 | 17.7 | 70.8 | 70.8 |
| | | | | | | | საერთო ფასი | 867.62 |

HYUNDAI ELANTRA, გამოშვების წელი 2011, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო N KMHDH41EBCU333004

| N | სათადარიგო ნაწილების დასახელება | განზომ ილება | რაოდენობა | ნაწილის ერთეულის ფასი | ნაწილის საერთო ფასი | მომსახურების ერთეულის ფასი | მომსახურების საერთო ფასი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძრავის ზეთის ფილტრი | ც | 1 | 18.88 | 18.88 | 14.16 | 14.16 | 33.04 |
| 2 | ძრავის ზეთი სინთეტიკა | ლ | 5 | 22.42 | 112.1 | | 0 | 112.1 |
| 3 | ჰაერის ფილტრი | ც | 1 | 34.22 | 34.22 | | 0 | 34.22 |
| 4 | საწვავის ფილტრი | ც | 1 | 70.8 | 70.8 | 47.2 | 47.2 | 118 |
| 5 | დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი | ც | 2 | 46.02 | 92.04 | 29.5 | 59 | 151.04 |
| 6 | ბურთულოვანი სახსარი შარნირი | ც | 2 | 86.14 | 172.28 | 23.6 | 47.2 | 219.48 |
| 7 | წინა ღერო სტოიკები | ც | 2 | 64.9 | 129.8 | 14.16 | 28.32 | 158.12 |
| 8 | უკანა ამორტიზატორი | ც | 2 | 193.52 | 387.04 | 29.5 | 59 | 446.04 |
| 9 | უკანა ამორტიზატორის ზამბარა | ც | 2 | 46.02 | 92.04 | 29.5 | 59 | 151.04 |
| 10 | უკანა საყრდენის ბალკა მილისა | ც | 2 | 46.02 | 92.04 | | 0 | 92.04 |
| 11 | ელექტრო კოჭა ბობინა | ც | 4 | 145.14 | 580.56 | 18.88 | 75.52 | 656.08 |
| 12 | წინა სამუხრუჭე დისკი | ც | 2 | 193.52 | 387.04 | 18.88 | 37.76 | 424.8 |
| 13 | წინა სამუხრუჭე ხუნდები | კომპ | 1 | 179.36 | 179.36 | 14.16 | 14.16 | 193.52 |
| 14 | ელ დიაგნოსტიკა | კომპ | 1 | | 0 | 38.94 | 38.94 | 38.94 |
| 15 | გაწმენდა | კომპ | 1 | | 0 | 38.94 | 38.94 | 38.94 |
| | | | | | | | საერთო ფასი | 2867.4 |

HYUNDAI ELANTRA, გამოშვების წელი 2011, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო N KMHDH41EBCU326186

| N | სათადარიგო ნაწილების დასახელება | განზომ ილება | რაოდენობა | ნაწილის ერთეულის ფასი | ნაწილის საერთო ფასი | მომსახურების ერთეულის ფასი | მომსახურების საერთო ფასი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძრავის ზეთის ფილტრი | ც | 1 | 17.7 | 17.7 | 14.16 | 14.16 | 31.86 |
| 2 | ძრავის ზეთი სინთეტიკა | ლ | 4 | 22.42 | 89.68 | | 0 | 89.68 |
| 3 | საწვავის ფილტრი | ც | 1 | 68.44 | 68.44 | 47.2 | 47.2 | 115.64 |
| 4 | ჰაერის ფილტრი | ც | 1 | 34.22 | 34.22 | | 0 | 34.22 |
| 5 | ძრავის ქვედა სამაგრი ამორტიზატორი | ც | 2 | 135.7 | 271.4 | 23.6 | 47.2 | 318.6 |
| 6 | საჭის ღერძის დაბოლოება ნაკრებში | ც | 2 | 77.88 | 155.76 | 14.16 | 28.32 | 184.08 |
| 7 | საჭის ღერძის წევა უკიდური ტიპი | ც | 2 | 87.32 | 174.64 | 14.16 | 28.32 | 202.96 |
| 8 | რეზინის ვტულკა | ც | 2 | 38.94 | 77.88 | 27.14 | 54.28 | 132.16 |
| 9 | უკანა საყრდენის (ბალკა)მილისა | ც | 2 | 46.02 | 92.04 | 34.22 | 68.44 | 160.48 |
| 10 | უკანა ამორტიზატორი | ც | 2 | 224.2 | 448.4 | 29.5 | 59 | 507.4 |
| 11 | უკანა ზამბარა | ც | 2 | 112.1 | 224.2 | | 0 | 224.2 |
| 12 | წინა ღერო სტოიკები | ც | 2 | 64.9 | 129.8 | 14.16 | 28.32 | 158.12 |
| 13 | წინა სამუხრუჭე დისკი | ც | 2 | 193.52 | 387.04 | 18.88 | 37.76 | 424.8 |
| 14 | წინა სამუხრუჭე ხუნდები | კომპ | 1 | 174.64 | 174.64 | 14.16 | 14.16 | 188.8 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | უკანა სამუხრუჭე ხუნდები | კომპ | 1 | 135.7 | 135.7 | 14.16 | 14.16 | 149.86 |
| 16 | განშლა | კომპ | 1 | | 0 | 38.94 | 38.94 | 38.94 |
| 17 | საბურავის მიდგმა ბალანსირება | ც | 4 | | 0 | 17.7 | 70.8 | 70.8 |
| | | | | | | | საერთო ფასი | 3032.6 |

| N | სათადარიგო ნაწილების დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ნაწილის ერთეულის ფასი | ნაწილის საერთო ფასი | მომსახურების ერთეულის ფასი | მომსახურების საერთო ფასი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| HYUNDAI H-1, გამოშვების წელი 2011, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო N KMHWH81JACU413569 | | | | | | | | |
| 1 | ძრავის ზეთი | ლ | 8 | 22.42 | 179.36 | | 0 | 179.36 |
| 2 | ძრავის ზეთის და ზეთის ფილტრის შეცვლა | კომპ | 1 | | 0 | 14.16 | 14.16 | 14.16 |
| 3 | ჰაერის ფილტრი | ც | 1 | 41.3 | 41.3 | | 0 | 41.3 |
| 4 | ზეთის ფილტრი | ც | 1 | 41.3 | 41.3 | | 0 | 41.3 |
| 5 | წინა ამორტიზატორი | ც | 2 | 182.9 | 365.8 | 38.94 | 77.88 | 443.68 |
| 6 | უკანა ამორტიზატორი | ც | 2 | 174.64 | 349.28 | 23.6 | 47.2 | 396.48 |
| 7 | წინა ამორტიზატორის ბალიში | ც | 2 | 64.9 | 129.8 | | 0 | 129.8 |
| 8 | დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი | ც | 2 | 41.3 | 82.6 | 38.94 | 77.88 | 160.48 |
| 9 | დაკიდების ბერკეტის მილისა პატარა | ც | 2 | 36.58 | 73.16 | 38.94 | 77.88 | 151.04 |
| 10 | უკანა სამუხრუჭე ხუნდები | კომპ | 1 | 135.7 | 135.7 | 14.16 | 14.16 | 149.86 |
| 11 | წინა სამუხრუჭე დისკო | ც | 2 | 177 | 354 | 23.6 | 47.2 | 401.2 |
| 12 | წინა სამუხრუჭე ხუნდები | კომპ | 1 | 165.2 | 165.2 | 14.16 | 14.16 | 179.36 |
| 13 | საწვავის ფილტრი | ც | 1 | 73.16 | 73.16 | 47.2 | 47.2 | 120.36 |
| 14 | განშლა | კომპ | 1 | | 0 | 17.7 | 17.7 | 17.7 |
| | | | | | | | საერთო ფასი | 2426.08 |
| | | | | | | | სულ ფასი | 17831.77 |

მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

[illegible]
დირექტორი

მიმწოდებელი:
შპს „Urban Motors"

ირაკლი ჯ[illegible]
დირექტორი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებლის მიმართ (შპს „Urban Motors") არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ______________________ /ბ. შეუკაძე/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ლოჯისტიკი ______________________ /გ. ფურაძე/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ლოჯისტიკის მენეჯერი ______________________ /ო. ლევამბერია/

ვიზირება:

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე ______________________ /[illegible]/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი ______________________ /ი. ბებიაური/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი ______________________ /ნ. გოგოლაშვილი/